საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 27

18 01 2016 წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2016 წლის 13 იანვრის №23319 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2015 წლის პირველი სექტემბრის №718 ბრძანებით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-3 მუხლის 1[1] პუნქტისა და მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ[2]“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2016 წლის 20 იანვრიდან გამოცხადდეს კონკურსი ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის მიზნით და განაცხადების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2016 წლის 29 იანვარი.
2. კონკურსის შედეგად შერჩეულ იქნენ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტები განათლების მიმართულებით.
3. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ასევე, გამონაკლის შემთხვევაში, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლებისა ან/და სამეცნიერო კვლევის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განვითარების პროცესში მონაწილეობის გამოცდილება;

დ) განათლების სფეროსთან დაკავშირებული შემდეგი სამართლებრივი და საერთაშორისო აქტების ცოდნა:

დ.ა) „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;

დ.ბ) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

დ.გ) „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №68 დადგენილება;

დ.დ) „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანება;

დ.ე) „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება;

დ.ვ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანება;

დ.ზ) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;

დ.თ) „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება;

დ.ი) „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;

დ.კ) „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2015 წლის 1 სექტემბრის №718 ბრძანება;

დ.ლ) „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2015 წლის 1 სექტემბრის №717 ბრძანება;

დ.მ) „უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2015 წლის 1 სექტემბრის №716 ბრძანება;

დ.ნ) შესაბამისი სფეროს დარგობრივი მახასიათებლები;

დ.ო) „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)“ 2015 წლის დოკუმენტი;

დ.პ) ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტები.

ე) აკადემიური წერისა და კომპიუტერული უნარების ქონა;

ვ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

ზ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;

თ) ინგლისური ენის ცოდნა.

4. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს www.hr.gov.ge-ის ვებგვერდის მეშვეობთ კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

5. დაევალოს საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., № 6).

დირექტორი

გიორგი შარვაშიძე